20/01/2026

MES 7 26 0000041108

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის ,,თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე; საბჭოს სხდომის თავმჯდომარე;
ნინო ბერიკაშვილი - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, ,,არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერის“ ქვეპროგრამის მენეჯერი, საბჭოს მდივანი;
პეტრე ბაბილუა - შპს - „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
დავით მალაზონია- შპს - „თანამედროვე განათლების აკადემია - სკოლა და ბაღის“ დირექტორი, საბჭოს წევრი;
მანანა თურქაძე - შპს ,,ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში“ დირექტორთა საბჭოს წევრი და მთავარი მრჩეველი განათლების საკითხებში, საბჭოს წევრი;
ნონა ჩუბინიძე - სსიპ - ქალაქ ქუთაისის №14 საჯარო სკოლის დირექტორი;
დავით კახნიაშვილი - შპს - „თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესის“ დირექტორი, ა(ა)იპ - „არასამთავრობო (კერძო) სასწავლებლების ასოციაციის“ თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;
ეკატერინე გურგენაშვილი - სსიპ - მერაბ კოსტავას სახელობის ქალაქ თელავის №4 საჯარო სკოლის მასწავლებელი, 2024 წლის მასწავლებლის ეროვნული პრემიის გამარჯვებული, საბჭოს წევრი;
ირმა ამირანაშვილი - შპს - ,,ქორალის“ ხარისხის მართვის მენეჯერი, საბჭოს წევრი;
კახაბერ ჩაკვეტაძე - სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;
თეა სვიმონიშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისის №12 საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს - ,,ქართული სასწავლებელი - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნინო სტეფანიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
თამარ ბიბილაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ქეთი მუთიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - ჟიული შარტავას სახელობის აფხაზეთის №6 საჯარო სკოლა:
ნონა წოწორია - სკოლის დირექტორი
სსიპ - ქალაქ გორის N2 საჯარო სკოლა:
თამარ სამსონაშვილი - სკოლის დირექტორი
სსიპ - თელავის მუნიციპალიტეტის სოფე ლრუისპირის საჯარო სკოლა:
ია ძამუკაშვილი - სკოლის დირექტორი
სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი ანაგის საჯარო სკოლა:
ნინო ღვედაშვილი - სკოლის დირექტორი
სსიპ - ქალაქ ბათუმის N6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლა:
ზურაბ ზაქარაძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ კორტანეთის საჯარო სკოლა:
ზურაბ გელაშვილი - სკოლის დირექტორი
სსიპ - დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ პირმისაანთკარის საჯარო სკოლა:
ზაზა ელიაშვილი - სკოლის დირექტორი
სსიპ -გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N2 საჯარო სკოლა:
ელისაბედი ჩქარეული - სკოლის დირექტორი
სსიპ -ქალაქ თბილისის N47 საჯარო სკოლა:
ირმა ხუციშვილი - სკოლის დირექტორი
სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქალაქ ლაგოდეხის N3 საჯარო სკოლა:
თეა მეტრეველი - სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

სსიპ - ჟიული შარტავას სახელობის აფხაზეთის №6 საჯარო სკოლა:
ა) მაკა ტუკვაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ელისო შურღაია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი. საბჭოს სხდომა 2025 წლის 29 დეკემბერს

ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom-ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 14:30 საათზე. საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დებულების მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ - ჟიული შარტავას სახელობის აფხაზეთის №6 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. სსიპ - ქალაქ გორის N2 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
3. სსიპ - თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისპირის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
4. სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი ანაგის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ქალაქ ბათუმის N6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
6. სსიპ - ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ კორტანეთის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
7. სსიპ - დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ პირმისაანთკარის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
8. სსიპ - გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N2 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
9. სსიპ - ქალაქ თბილისის N47 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
10. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქალაქ ლაგოდეხის N3 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

დღის წესრიგთან დაკავშირებით რაიმე სახის შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. სსიპ - ჟიული შარტავას სახელობის აფხაზეთის №6 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ, თამარ მამსიკაშვილმა, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 13 და 14 ნოემბერს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 02 ნოემბრის N1486249 გადაწყვეტილების თანახმად, დაწესებულებას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 211 მოსწავლით, ხოლო ვიზიტის დროს აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა იყო 206.
ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაევალა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტების შეფასება. მისი თქმით , აღნიშნული სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიმართა რჩევები, რომლებიც დეტალურად აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ, ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ სკოლაში ხორციელდებოდა სხვადასხვა პროექტი, მათ შორის ერთ-ერთი იყო ,,ხელით გადავწეროთ „ვეფხისტყაოსანი“. ექსპერტის თქმით, სკოლაში განსაკუთრებული ადგილი ჰქონდა არაფორმალურ განათლებას და ამ მიმართულებით შექმნილი იყო კლუბები, წრეები, ტარდებოდა გასვლითი ღონისძიებები, საგანმანათლებლო აქტივობები, ასევე, მშობელთა ჩართულობით განხორციელდა შემოქმედებით მასტერკლასი მატყლის დამუშავებაზე, გობელენზე მუშაობასა და დეკორატიული ყვავილების დამზადებაზე. სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკა იყო საჭიროებაზე დაფუძნებული კვლევების განხორციელება.
ექსპერტმა ისაუბრა ავტორიზაციის პროცესში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსზე და აღნიშნა, რომ შესრულებული იყო შემდეგი რეკომენდაციები:

- „დაწესებულებას შემუშავებული უნდა ჰქონდეს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
- დაწესებულებას შემუშავებული უნდა ჰქონდეს 7 წლიანი, ციკლური სტრატეგიული გეგმა;

- დაწესებულებას შემუშავებული უნდა ჰქონდეს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
- დაწესებულებას შემუშავებული უნდა ჰქონდეს სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი;
- დაწესებულებას იდენტიფიცირებული უნდა ჰყავდეს ის პედაგოგები, რომლებსაც წარმოსადგენი აქვთ „უფლების ჩამორთმევის შესახებ“ და „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ ცნობები და უნდა უზრუნველყოს მათ მიერ აღნიშნული ცნობების წარმოდგენა;
- დაწესებულებას შემუშავებული უნდა ჰქონდეს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- დაწესებულებას შემუშავებული უნდა ჰქონდეს სკოლის პერსონალის შეფასების და პროფესიული განვითარების დოკუმენტი;
- დაწესებულებას შემუშავებული უნდა ჰქონდეს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;
- დაწესებულებას შემუშავებული უნდა ჰქონდეს მმართველობითი, ძირითადი და დამხარე პროცესების ჩამონათვალი და მათი აღმწერები;
- დაწესებულებას შემუშავებული უნდა ჰქონდეს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა , სადაც გაწერილი იქნება გასაჩივრების დეტალური პროცედურები;
- დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს სამედიცინო კაბინეტის აღჭურვა შესაბამისი ინვენტარით;
- დაწესებულებას განსაზღვრული უნდა ჰყავდეს ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი;
- დაწესებულების შიდა კიბეებზე დამონტაჟებული უნდა იყოს პანდუსები, ეტლით მოსარგებლე პირების გადაადგილებისათვის;
- დაწესებულებას შექმნილი უნდა ჰქონდეს სკოლის ვებ-გვერდი, რომლითაც მოახდენს საზოგადოებასთან კომუნიკაციასა და ინფორმირებას;
- დაწესებულებას შექმნილი უნდა ჰქონდეს სკოლის ვებ-გვერდი, ქართულ ენაზე;
- დაწესებულებას შექმნილი უნდა ჰქონდეს სკოლის ვებ-გვერდი, სადაც განათავსებს სკოლის შესახებ ინფორმაციას (მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია);
- დაწესებულებას შემუშავებული უნდა ჰქონდეს მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმები;
- დაწესებულებას შემუშავებული უნდა ჰქონდეს მოსწავლეთა აკადემიური უნარების გაუმჯობესებისათვის საჭირო კონსულტაციისა და მხარდაჭერის მექანიზმები.“

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ჟიული შარტავას სახელობის აფხაზეთის №6 საჯარო სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

ცენტრის წარმომადგენელმა, საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა, ადმინისტრაციული წარმოების ვადების გათვალისწინებით, საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრულიყო 2025 წლის 29 დეკემბერი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 14:48
დასრულების დრო: 14:52

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - ჟიული შარტავას სახელობის აფხაზეთის №6 საჯარო სკოლის (სკ/: 249259127) მონიტორინგთან დაკავშირებით.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 29 დეკემბერი.

2. სსიპ - ქალაქ გორის N2 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ, თამარ მამსიკაშვილმა, აღნიშნა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 07 სექტემბრის N1103539 ოქმის მე-3 ნაწილის საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია 2025 წლის აგვისტომდე ცენტრში წარმოედგინა სკოლაში დასაქმებულების მიერ კანონმდებლობით დადგენილი ცნობები, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის, შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით დასკვნის, კანონმდებლობით გათვალისწინებული სამედიცინო პერსონალის (ორი ექიმის) არსებობის, სპორტულ დარბაზში წვდომის უზრუნველყოფის მიზნით პანდუსის მოწყობის, ბიბლიოთეკაში წვდომის უზრუნველყოფის მიზნით პანდუსის მოწყობისა და ვებ-გვერდის დამზადების დამადასტურებელი მტკიცებულებები.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა სკოლაში დასაქმებულების კანონმდებლობით დადგენილი ცნობები და ვებ-გვერდის დამზადების დამადასტურებელი მტკიცებულებები.
დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა, შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, შენობა-ნაგებობის ადაპტირებისა და მეორე ექიმის დასაქმების მტკიცებულებები. ექიმთან დაკავშირებით სკოლას გამოცხადებული ჰქონდა ვაკანსია.
საბჭოს სხდომაზე სკოლის წარმომადგენლის პოზიცია არ დაფიქსირებულა.
საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დამადასტურებელი მტკიცებულებები, ხოლო რეკომენდაციები, რომელებიც საჭიროებდა დიდ ფინანსურს რესურსს და არ იყო

სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო შესრულებული (შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა, შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, შენობა-ნაგებობის ადაპტირებისა და მეორე ექიმის დასაქმების მტკიცებულებები), საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.
საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 07 ივლისის N1103539 ოქმის მე-3 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 15:03
დასრულების დრო: 15:06

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 2023 წლის 07 ივლისის N1103539 ოქმის მე-3 ნაწილში და დაწესებულებამ შეუსრულებელი რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირება განახორციელოს შესაბამისი დოკუმენტაციის მოპოვებისთანავე, ნაცვლად 2025 წლის აგვისტოსა.

3. სსიპ - თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისპირის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ, თამარ მამსიკაშვილმა, აღნიშნა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 24 ოქტომბრის N1429702 ოქმის 1-ელი ნაწილის საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია 2025 წლის ოქტომბრამდე ცენტრში წარმოედგინა დასკვნა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა, საგანგებო სიტუაციების მართვის შეთანხმებული გეგმა, ექიმის დასაქმების დამადასტურებელი მტკიცებულებები.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, საგანგებო სიტუაციების მართვის შეთანხმებული გეგმა, ასევე, ექიმის ნაცვლად სამინისტროსთან შეთანხმებით ექთნის დასაქმების დამადასტურებელი მტკიცებულებები.
დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა.
საბჭოს სხდომაზე სკოლის წარმომადგენლის პოზიცია არ დაფიქსირებულა.
საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დამადასტურებელი მტკიცებულებები, ხოლო რეკომენდაცია, რომელიც საჭიროებდა დიდ ფინანსურს რესურსს და არ იყო შესრულებული (შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა) სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზით, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია

ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.
საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 24 ოქტომბრის N1429702 ოქმის 1-ელ ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 15:10
დასრულების დრო: 15:15

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 2023 წლის 24 ოქტომბრის N1429702 ოქმის 1-ელ ნაწილში და დაწესებულებამ შეუსრულებელი რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირება განახორციელოს შესაბამისი დოკუმენტაციის მოპოვებისთანავე, ნაცვლად 2025 წლის ოქტომბრისა.

4. სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი ანაგის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ, თამარ მამსიკაშვილმა, აღნიშნა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 26 ოქტომბრის N1448417 ოქმის მე-6 ნაწილის საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია 2025 წლის ოქტომბრამდე ცენტრში წარმოედგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, დასკვნა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ და საევაკუაციო კარის მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულებები.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა, სადაც ასახული იყო რეკომენდაციები შესასრულებელი სამუშაოების შესახებ.
დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა საევაკუაციო კარის მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულებები.
საბჭოს სხდომაზე სკოლის წარმომადგენლის პოზიცია არ დაფიქსირებულა.
საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დამადასტურებელი მტკიცებულებები, ხოლო რეკომენდაცია, რომელიც საჭიროებდა დიდ ფინანსურს რესურსს და არ იყო შესრულებული (საევაკუაციო კარის მოწყობა) სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზით, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.
საბჭოს სდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 26 ოქტომბრის N1448417 ოქმის მე-6 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 15:20
დასრულების დრო: 15:25

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 2023 წლის 26 ოქტომბრის N1448417 ოქმის მე-6 ნაწილში და დაწესებულებამ შეუსრულებელი რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირება განახორციელოს შესაბამისი დოკუმენტაციის მოპოვებისთანავე, ნაცვლად 2025 წლის ოქტომბრისა.

5. სსიპ - ქალაქ ბათუმის N6 ფიზიკა - მათემატიკის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ, თამარ მამსიკაშვილმა, აღნიშნა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 18 ოქტომბრის N1396138 ოქმის მე-5 ნაწილის საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია 2025 წლის სექტემბრამდე ცენტრში წარმოედგინა სამივე შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა, სამივე შენობის შესაბამის უწყებასთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, შენობა-ნაგებობების მდგრადობის შესახებ დასკვნები.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა შენობა-ნაგებობების მდგრადობის დასკვნები, რომელშიც ასახული იყო შესასრულებელი სამუშაოების შესახებ რეკომენდაციები, ასევე, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული შესაბამის უწყებასთან.
დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა სამივე შენობისთვის
საბჭოს სხდომაზე სკოლის წარმომადგენლის პოზიცია არ დაფიქსირებულა.
საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დამადასტურებელი მტკიცებულებები, ხოლო რეკომენდაცია, რომელიც საჭიროებდა დიდ ფინანსურს რესურსს და არ იყო შესრულებული (შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა) სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზით, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.
საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 18 ოქტომბრის N1396138 ოქმის მე-5 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 15:33
დასრულების დრო: 15:36

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 2023 წლის 18 ოქტომბრის N1396138 ოქმის მე-5 ნაწილში და დაწესებულებამ შეუსრულებელი რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირება განახორციელოს შესაბამისი დოკუმენტაციის მოპოვებისთანავე, ნაცვლად 2025 წლის სექტემბრისა.

6. სსიპ - ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ კორტანეთის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ, თამარ მამსიკაშვილმა, აღნიშნა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 22 სექტემბრის N1217082 ოქმის მე-4 ნაწილის საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია 2025 წლის სექტემბრამდე ცენტრში წარმოედგინა ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ამოცანების შესრულების ინდიკატორები, რესურსები და შესრულების ვადები, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოსაპოვებლად მიმართვა შესაბამის უწყებასთან, კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმის დასაქმების, სამედიცინო კაბინეტის აღჭურვის, შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნის მოპოვებისთვის მიმართვის, ვებ-გვერდის შექმნის დამადასტურებელი მტკიცებულებები.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ამოცანების შესრულების ინდიკატორები, რესურსები და შესრულების ვადები, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოსაპოვებლად მიმართვა შესაბამის უწყებასთან, კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმის დასაქმების, სამედიცინო კაბინეტის აღჭურვის, შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნის მოპოვებისთვის მიმართვის და ვებ-გვერდის შექმნის დამადასტურებელი მტკიცებულებები.
საბჭოს სხდომაზე სკოლის წარმომადგენლის პოზიცია არ დაფიქსირებულა.
საბჭომ ცნობად მიიღო სსიპ - ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ კორტანეთისსაჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

7. სსიპ - დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ პირმისაანთკარის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ, თამარ მამსიკაშვილმა, აღნიშნა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 26 ოქტომბრის N1448417 ოქმის მე-5 ნაწილის საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია 2025 წლის ოქტომბრამდე ცენტრში წარმოედგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, დასაქმებულთა ცნობები, ადმინისტრაციული თანამდებობების დაკავებისათვის შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნების გაწერის, ადმინისტრაციული პერსონალის შეფასების და

პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმის შემუშავების, ხარისხის პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების, სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების ჩამონათვალის აღმწერი დოკუმენტის შემუშავების, თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემის შემუშავების, სკოლის ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემის შიდა და გარე პერიმეტრზე სრულად კონტროლის, სკოლის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნაში აღწერილი რეკომენდაციების შესრულების და შესაბამისი მიწერილობის წარმოდგენის, ასევე, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების, ინფორმაციის დაცვის მექანიზმის განსაზღვრის, საქმისწარმოების წესის/ინსტრუქციის შემუშავებისა და ვებ-გვერდის შექმნისა და დოკუმენტაციის ატვირთვის დამადასტურებელი მტკიცებულებები.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, დასაქმებულთა ცნობები, ადმინისტრაციული თანამდებობების დაკავებისათვის შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნების გაწერის, ადმინისტრაციული პერსონალის შეფასების და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმის შემუშავების, ხარისხის პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების, სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების ჩამონათვალის აღმწერი დოკუმენტის შემუშავების, თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემის შემუშავების, სკოლის ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემის შიდა და გარე პერიმეტრზე სრულად კონტროლის, სკოლის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნაში აღწერილი რეკომენდაციების შესრულების და შესაბამისი მიწერილობის წარმოდგენის, ასევე, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების, ინფორმაციის დაცვის მექანიზმის განსაზღვრის, საქმისწარმოების წესის/ინსტრუქციის შემუშავებისა და ვებ-გვერდის შექმნისა და დოკუმენტაციის ატვირთვის დამადასტურებელი მტკიცებულებები.
საბჭოს სხდომაზე სკოლის წარმომადგენლის პოზიცია არ დაფიქსირებულა.
საბჭომ ცნობად მიიღო სსიპ - დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ პირმისაანთკარის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

8. სსიპ - გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N2 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ, თამარ მამსიკაშვილმა,აღნიშნა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 18 ოქტომბრის N1397838 ოქმის მე-2 ნაწილის საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია 2025 წლის ოქტომბრამდე ცენტრისთვის ეცნობებინა იმის შესახებ თუ რა ღონისძიებებს განახორციელებდა/გაატარებდა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნაში ასახული რისკებისა და საშიშროების აღმოსაფხვრელად.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნაში ასახული რისკებისა და საშიშროების აღმოსაფხვრელად მიწერილობები შესაბამის პასუხისმგებელ ორგანოებთან.
საბჭოს სხდომაზე სკოლის წარმომადგენლის პოზიცია არ დაფიქსირებულა.
საბჭომ ცნობად მიიღო სსიპ - გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N2 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

9. სსიპ - ქალაქ თბილისის N47 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან

განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ, თამარ მამსიკაშვილმა, აღნიშნა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 18 ოქტომბრის N1396138 ოქმის მე-2 ნაწილის საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია 2025 წლის სექტემბრამდე ცენტრში წარმოედგინა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა, ადაპტირებული გარემოს მოწყობისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის აღჭურვის დამადასტურებელი მტკიცებულებები.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის აღჭურვის, ადაპტირებული სველი წერტილის და პანდუსის მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულებები.
დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა.
საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ, თამარ მამსიკაშვილმა, მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორმა, ირმა ხუციშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლაში მოწყობილი იყო ადაპტირებული გარემო და ასევე, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია აღჭურვილი იყო ყველა საჭირო რესურსით.
საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ, თამარ მამსიკაშვილმა, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენელთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დამადასტურებელი მტკიცებულებები, ხოლო რეკომენდაცია, რომელიც საჭიროებდა დიდ ფინანსურს რესურსს და არ იყო შესრულებული (შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა) სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზით, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.
საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 18 ოქტომბრის N1396138 ოქმის მე-2 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 15:48
დასრულების დრო: 15:51

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 2023 წლის 18 ოქტომბრის N1396138 ოქმის მე-2 ნაწილში და დაწესებულებამ შეუსრულებელი რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირება განახორციელოს შესაბამისი დოკუმენტაციის მოპოვებისთანავე, ნაცვლად 2025 წლის სექტემბრისა.

10. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქალაქ ლაგოდეხის N3 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ, თამარ მამსიკაშვილმა, აღნიშნა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 26 ოქტომბრის N1448417 ოქმის მე-4 ნაწილის საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია 2025 წლის ოქტომბრამდე ცენტრში წარმოედგინა უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, დასკვნა შენობა -ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების (მდგრადობის) შესახებ დასკვნა, ექიმის პოზიციაზე ვაკანსიის გამოცხადებისა და ექთნის/ექიმის დასაქმების დამადასტურებელი მტკიცებულებები. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, მდგრადობის დადებითი დასკვნა (დასკვნაში ასახული იყო რეკომენდაციები, ასევე ფიქსირდებოდა, რომ საქვაბის ტექნიკური მდგომარეობა არ იყო დამაკმაყოფილებელი და ძველი საპირფარეშოები ექვემდებარებოდა დემონტაჟს), ასევე, ექთნის დასაქმების დამადასტურებელი მტკიცებულებები.
დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა.
საბჭოს სხდომაზე სკოლის წარმომადგენლის პოზიცია არ დაფიქსირებულა.
საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დამადასტურებელი მტკიცებულებები, ხოლო რეკომენდაცია, რომელიც საჭიროებდა დიდ ფინანსურს რესურსს და არ იყო შესრულებული (შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა) სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზით, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.
საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 26 ოქტომბრის N1448417 ოქმის მე-4 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 15:55
დასრულების დრო: 15:58

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 2023 წლის 26 ოქტომბრის N1448417 ოქმის მე-4 ნაწილში და დაწესებულებამ შეუსრულებელი რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირება განახორციელოს შესაბამისი დოკუმენტაციის მოპოვებისთანავე, ნაცვლად 2025 წლის ოქტომბრისა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 16:00 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბერიკაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
მოადგილე/საბჭოს სხდომის თავმჯდომარე
მამსიკაშვილი თამარი